

2017 წლის იანვარ-აგვისტოს საერთაშორისო მოგზაურების

შემოსვლების მიმოხილვა და ანალიზი

2017 წლის იანვარ-აგვისტო

2017 წლის იანვარ-აგვისტოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 5,059,106 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 18.9%-ია. მთლიანი რაოდენობიდან 24 საათი და მეტი დროით (ტურისტი)¹ 2,402,699 (+29.4%) ვიზიტი განხორციელდა, ხოლო ტრანზიტის² მიზნით 1,117,569, დანარჩენი ერთდღიანი ვიზიტების³ რაოდენობამ 1,538,838 შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

ვიზიტის ტიპი	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	1,856,162	2,402,699	546,537	29.4%	47.5%
ტრანზიტი	886,615	1,117,569	230,954	26.0%	22.1%
ერთდღიანი ვიზიტი	1,512,066	1,538,838	26,772	1.8%	30.4%
სულ	4,254,843	5,059,106	804,263	18.9%	100.0%


საერთაშორისო მოგზაურებს შორის კვლავ მეზობელი ქვეყნები ლიდერობენ, მათზე მთლიანი შემოსვლების 79.4% მოდის. ევროკავშირიდან მოგზაურების რაოდენობა 4.4%-ს შეადგენს.

¹ ტურისტი - მოგზაური კლასიფიკირდება ტურისტად თუ იგი ნებაყოფლობით ტოვებს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს, დასვენების, გაჯანსაღების, საქმიანი ან სხვა მიზნით და მისი მოგზაურობა მოიცავს დამისთევას, ამასთან, იგი უნდა რჩებოდეს არაუმეტეს ერთი წლის ვადით და არ უნდა იყოს დასაქმებული მოცემულ ქვეყანაში.

² ტრანზიტული ვიზიტი - გულისხმობს ვიზიტს 24 საათზე ნაკლები ვადით და ქვეყნის დატოვებას განსხვავებული საზღვრით ვიდრე შემოსვლისას. აღნიშნულ ვიზიტებს შორის შესაძლებელია ასევე იყოს დამისთევაც, თუმცა ეს პროცენტი საკმაოდ დაბალია.

³ ერთდღიანი ვიზიტი - საერთაშორისო მოგზაურები, რომლებიც იგივე სასაზღვრო პუნქტით ტოვებენ ქვეყანას, რომლითაც შემოვიდნენ და ამასთანავე ქვეყანაში არ რჩებიან 24 საათზე მეტი დროით.

საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა (იანვარ-აგვისტო)



იანვარ-აგვისტოში საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა აზერბაიჯანიდან დაფიქსირდა 1,148,484 (+10.4%), რაც მთლიანი საერთაშორისო მოგზაურების 22.7%-ს შეადგენს. შემდეგი არის სომხეთი 1,101,479 (+16.8%), რუსეთი 955,475 (+33.9%) და თურქეთი 813,039 (-6.6%) მოგზაურით. არამეზობელი ქვეყნებიდან კი ირანი ლიდერობს 220,810 (+141.9%).

საერთაშორისო შემოსვლებით ტოპ 15 ქვეყანა

N	ქვეყანა	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
1	აზერბაიჯანი	1,039,991	1,148,484	108,493	10.4%	22.7%
2	სომხეთი	943,389	1,101,479	158,090	16.8%	21.8%
3	რუსეთი	713,728	955,475	241,747	33.9%	18.9%
4	თურქეთი	870,773	813,039	-57,734	-6.6%	16.1%
5	ირანი	91,282	220,810	129,528	141.9%	4.4%
6	უკრაინა	117,357	135,325	17,968	15.3%	2.7%
7	ისრაელი	60,437	84,555	24,118	39.9%	1.7%
8	საუდის არაბეთი	15,565	46,140	30,575	196.4%	0.9%
9	ყაზახეთი	36,276	42,332	6,056	16.7%	0.8%
10	პოლონეთი	31,019	37,226	6,207	20.0%	0.7%
11	ინდოეთი	18,302	36,403	18,101	98.9%	0.7%
12	გერმანია	26,441	35,010	8,569	32.4%	0.7%
13	ბელარუსი	26,449	34,723	8,274	31.3%	0.7%
14	ა შ შ	23,547	29,869	6,322	26.8%	0.6%
15	გაერთიანებული სამეფო	12,899	16,933	4,034	31.3%	0.3%

აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით ტოპ 10 ქვეყანაში ცვლილება ძირითადად ქვეყნების პოზიციების გადანაცვლებით არის განპირობებული. ახალ ათეულში ვერ მოხვდა ბელარუსი, რომელიც საუდის არაბეთმა ჩაანაცვლა და მერვე პოზიცია დაიკავა. რუსეთმა და თურქეთმა გაცვალეს ადგილები და შესაბამისად მესამე და მეოთხე პოზიციები დაიკავეს. ასევე პოზიციები გაცვალეს ირანმა და უკრაინამ და შესაბამისად მეხუთე და მეექვსე ადგილი დაიკავეს. ყაზახეთმა და პოლონეთმა ერთი პოზიციით ქვევით გადაინაცვლა და შესაბამისად მეცხრე და მეათე ადგილი დაიკავა. დანარჩენი ქვეყნების შემთხვევაში სურათი ძირითადად უცვლელია.

საერთაშორისო შემოსვლებით ტოპ 10 ქვეყანა - 2016 და 2017 წლის იანვარ-აგვისტო

2016: 8 თვე ტოპ 10 ქვეყანა	2017: 8 თვე ტოპ 10 ქვეყანა
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანი
სომხეთი	სომხეთი
თურქეთი	რუსეთი
რუსეთი	თურქეთი
უკრაინა	ირანი
ირანი	უკრაინა
ისრაელი	ისრაელი
ყაზახეთი	საუდის არაბეთი
პოლონეთი	ყაზახეთი
ბელარუსი	პოლონეთი

2017 წლის იანვარ-აგვისტოში საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო საზღვრებზე დაფიქსირდა 3,911,052 (+12.5%), შემდეგ მოდის საჰაერო 1,070,819 (+53.1%) და სარკინიგზო საზღვრები 53,526 (+20.5%). ყველაზე ნაკლები რაოდენობა საზღვაო გზით შემოვიდა 23,709 (-31.7%).

საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო გზით აზერბაიჯანიდან შემოვიდა და 1,105,337 (28.3%) შეადგინა, შემდეგ მოდის სომხეთი 1,061,709 (27.1%) და თურქეთი 779,361 (19.9%).

საჰაერო გზით საერთაშორისო შემოსვლების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთმა აჩვენა 246,901 (23.1%), შემდეგ მოდის ირანი 132,856 (12.4%) და ისრაელი 82,209 (7.7%).

სარკინიგზო გზით შემოსული საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩეოდნენ სომხეთი 22,246 (41.6%), აზერბაიჯანი 18,368 (34.3%) და რუსეთი 5,605 (10.5%).

საზღვაო გზით შემოსული საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა კი უკრაინიდან აღინიშნა და 7,480 (31.5%) შეადგინა, შემდეგ მოდის თურქეთი 4,033 (17%) და რუსეთი 3,517 (14.8%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	3,476,208	3,911,052	434,844	12.5%	77.3%
საჰაერო	699,521	1,070,819	371,298	53.1%	21.2%
სარკინიგზო	44,406	53,526	9,120	20.5%	1.1%
საზღვაო	34,708	23,709	-10,999	-31.7%	0.5%

საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სადახლოდან ფიქსირდება 875,519 (+16.6%), შემდეგია სარფი 860,228 (-2.5%) და წითელი ხიდი 844,300 (+5%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სადახლო	750,833	875,519	124,686	16.6%	17.3%
სარფი	882,640	860,228	-22,412	-2.5%	17.0%
წითელი ხიდი	804,218	844,300	40,082	5.0%	16.7%
აეროპორტი თბილისი	549,066	837,620	288,554	52.6%	16.6%
ყაზბეგი	614,292	783,326	169,034	27.5%	15.5%
აეროპორტი ბათუმი	93,257	150,947	57,690	61.9%	3.0%
ცოდნა	133,591	148,607	15,016	11.2%	2.9%
ნინოწმინდა	127,462	145,745	18,283	14.3%	2.9%
ვალე	73,915	101,219	27,304	36.9%	2.0%
აეროპორტი ქუთაისი	57,198	82,252	25,054	43.8%	1.6%
ვახტანგისი	46,140	57,612	11,472	24.9%	1.1%
კარწახი	25,251	48,988	23,737	94.0%	1.0%
გუგუთი	17,362	44,993	27,631	159.1%	0.9%
რკინიგზა სადახლო	25,017	28,863	3,846	15.4%	0.6%
რკინიგზა გარდაბანი	19,389	24,663	5,274	27.2%	0.5%
პორტი ფოთი	17,128	11,955	-5,173	-30.2%	0.2%
პორტი ბათუმი	15,949	10,827	-5,122	-32.1%	0.2%
პორტი ყულევი	1,631	927	-704	-43.2%	0.0%
სამთაწყარო	259	344	85	32.8%	0.0%
ახკერპი	245	171	-74	-30.2%	0.0%

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის კლების ანალიზი

2017 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების რაოდენობა შემცირებულია 37 ქვეყნიდან, რაც ჯამში -60,960-ს შეადგენს. აქედან კლების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 2 ქვეყნიდან, ჯამში -59,926 (მთლიანი კლების 98.3%).

ქვეყანა	კლება	წილი მთლიან კლებაში
თურქეთი	-57,734	94.7%
არაბთა გაერთიანებული სამეორეობი	-2,192	3.6%
სხვა	-1,034	1.7%

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდის ანალიზი

2017 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდა 154 ქვეყნიდან ფიქსირდება, რაც რაოდენობრივად 865,223 -ს შეადგენს. აქედან ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 8 ქვეყნიდან, ჯამში 728,620 (მთლიანი ზრდის 84.2%).

ქვეყანა	ზრდა	წილი მთლიან ზრდაში
რუსეთი	241,747	27.9%
სომხეთი	158,090	18.3%
ირანი	129,528	15.0%
აზერბაიჯანი	108,493	12.5%
საუდის არაბეთი	30,575	3.5%
ისრაელი	24,118	2.8%
ინდოეთი	18,101	2.1%
უკრაინა	17,968	2.1%
სხვა	136,603	15.8%

2017 წელს განხორციელებული მარკეტინგული კამპანიების შედეგად რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ინდოეთიდან, უკრაინიდან და ისრაელიდან საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. ასევე სტაბილურად იზრდება ირანიდან საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა, აღნიშნული ტენდენცია კი 2016 წლის იანვარში ირანთან აღდგენილი უვიზო რეჟიმის შედეგია. იმ ქვეყნებიდან, სადაც ნაკლებია პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების ზრდის ტენდენცია კვლავაც გრძელდება.

2017 წლის აგვისტო


2017 წლის აგვისტოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 1,080,449 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 27.4%-ია. მთლიანი რაოდენობიდან 24 საათი და მეტი დროით (ტურისტი) 573,368 (+27.2%) ვიზიტი განხორციელდა, ხოლო ტრანზიტის მიზნით 274,878, დანარჩენი ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 232,203 შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

ვიზიტის ტიპი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	450,647	573,368	122,721	27.2%	53.1%
ტრანზიტი	213,983	274,878	60,895	28.5%	25.4%
ერთდღიანი ვიზიტი	183,751	232,203	48,452	26.4%	21.5%
სულ	848,381	1,080,449	232,068	27.4%	100.0%

საერთაშორისო მოგზაურებს შორის კვლავ მეზობელი ქვეყნები ლიდერობენ, მათზე მთლიანი შემოსვლების 77.7% მოდის. ევროკავშირიდან მოგზაურების რაოდენობა 4.4%-ს შეადგენს.

საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა (აგვისტო)



აგვისტოში საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სომხეთიდან დაფიქსირდა 249,720 (+11.7%), რაც მთლიანი საერთაშორისო მოგზაურების 23.1%-ს შეადგენს. შემდეგი არის რუსეთი 229,261 (+27.8%), აზერბაიჯანი 220,314 (+18.5%) და თურქეთი 140,676 (+42.2%) მოგზაურით. არამეზობელი ქვეყნებიდან კი ირანი ლიდერობს 55,205 (+85.1%).

საერთაშორისო შემოსვლებით ტოპ 15 ქვეყანა

N	ქვეყანა	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი %
1	სომხეთი	223,650	249,720	26,070	11.7%	23.1%
2	რუსეთი	179,364	229,261	49,897	27.8%	21.2%
3	აზერბაიჯანი	185,880	220,314	34,434	18.5%	20.4%
4	თურქეთი	98,921	140,676	41,755	42.2%	13.0%
5	ირანი	29,832	55,205	25,373	85.1%	5.1%
6	უკრაინა	24,076	25,050	974	4.0%	2.3%
7	საუდის არაბეთი	7,838	21,607	13,769	175.7%	2.0%
8	ისრაელი	13,997	18,086	4,089	29.2%	1.7%
9	ყაზახეთი	9,144	10,126	982	10.7%	0.9%
10	ბელარუსი	7,663	9,907	2,244	29.3%	0.9%
11	პოლონეთი	7,225	8,731	1,506	20.8%	0.8%
12	გერმანია	5,979	7,913	1,934	32.3%	0.7%
13	ა შ შ	4,195	4,993	798	19.0%	0.5%
14	ინდოეთი	2,638	4,935	2,297	87.1%	0.5%
15	იორდანია	700	4,116	3,416	488.0%	0.4%

აღსანიშნავია, რომ 2016-2017 აგვისტოს თვის მონაცემებით ტოპ 10 ქვეყანაში ცვლილება ძირითადად ქვეყნების პოზიციების გადანაცვლებით არის განპირობებული. ისრაელმა და ყაზახეთმა თითო პოზიციით ქვევით გადაინაცვლა და შესაბამისად მერვე და მეცხრე ადგილი დაიკავა. საუდის არაბეთი კი ორი პოზიციით დაწინაურდა და მეშვიდე ადგილი დაიკავა. დანარჩენი ქვეყნების შემთხვევაში სურათი ძირითადად უცვლელია.

საერთაშორისო შემოსვლებით ტოპ 10 ქვეყანა - 2016 და 2017 წლის აგვისტო

2016: აგვისტო ტოპ 10 ქვეყანა	2017: აგვისტო ტოპ 10 ქვეყანა
სომხეთი	სომხეთი
აზერბაიჯანი	რუსეთი
რუსეთი	აზერბაიჯანი
თურქეთი	თურქეთი
ირანი	ირანი
უკრაინა	უკრაინა
ისრაელი	საუდის არაბეთი
ყაზახეთი	ისრაელი
საუდის არაბეთი	ყაზახეთი
ბელარუსი	ბელარუსი

2017 წლის აგვისტოში საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო საზღვრებზე დაფიქსირდა 836,495 (+23.8%), შემდეგ მოდის საჰაერო 223,636 (+47.3%) და სარკინიგზო საზღვრები 16,695 (+13.2%). ყველაზე ნაკლები რაოდენობა საზღვაო გზით შემოვიდა 3,623 (-42.7%).

საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო გზით სომხეთიდან შემოვიდა და 235,435 (28.1%) შეადგინა, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 212,549 (25.4%) და რუსეთი 185,026 (22.1%).

საჰაერო გზით საერთაშორისო შემოსვლების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთმა აჩვენა 42,109 (18.8%), შემდეგ მოდის ირანი 33,026 (14.8%) და ისრაელი 17,464 (7.8%).

სარკინიგზო გზით შემოსული საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩეოდნენ სომხეთი 9,919 (59.4%), აზერბაიჯანი 3,592 (21.5%) და რუსეთი 1,434 (8.6%).

საზღვაო გზით შემოსული საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა კი უკრაინიდან აღინიშნა და 1,224 (33.8%) შეადგინა, შემდეგ მოდის რუსეთი 692 (19.1%) და თურქეთი 637 (17.6%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	675,455	836,495	161,040	23.8%	77.4%
საჰაერო	151,858	223,636	71,778	47.3%	20.7%
სარკინიგზო	14,745	16,695	1,950	13.2%	1.5%
საზღვაო	6,323	3,623	-2,700	-42.7%	0.3%

საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სადახლოდან ფიქსირდება 207,160 (+15.6%), შემდეგია სარფი 181,550 (+45.6%) და ყაზბეგი 181,021 (+18.3%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სადახლო	179,137	207,160	28,023	15.6%	19.2%
სარფი	124,652	181,550	56,898	45.6%	16.8%
ყაზბეგი	153,065	181,021	27,956	18.3%	16.8%
აეროპორტი თბილისი	113,349	162,942	49,593	43.8%	15.1%
წითელი ხიდი	126,812	149,392	22,580	17.8%	13.8%
აეროპორტი ბათუმი	26,994	45,640	18,646	69.1%	4.2%
ნინოწმინდა	30,266	35,234	4,968	16.4%	3.3%
ცოდნა	28,120	30,869	2,749	9.8%	2.9%
ვალე	12,604	22,171	9,567	75.9%	2.1%
აეროპორტი ქუთაისი	11,515	15,054	3,539	30.7%	1.4%
ვახტანგისი	11,192	12,020	828	7.4%	1.1%
რკინიგზა სადახლო	10,943	11,821	878	8.0%	1.1%
კარწახი	5,363	9,499	4,136	77.1%	0.9%
გუგუთი	4,161	7,505	3,344	80.4%	0.7%
რკინიგზა გარდაბანი	3,802	4,874	1,072	28.2%	0.5%
პორტი ფოთი	2,896	1,857	-1,039	-35.9%	0.2%
პორტი ბათუმი	3,184	1,562	-1,622	-50.9%	0.1%
პორტი ყულევი	243	204	-39	-16.0%	0.0%
სამთაწყარო	30	40	10	33.3%	0.0%
ახკერპი	53	34	-19	-35.8%	0.0%

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის კლების ანალიზი

2017 წლის აგვისტოსთვის მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების რაოდენობა შემცირებულია 32 ქვეყნიდან, რაც ჯამში -743-ს შეადგენს. აქედან კლების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 4 ქვეყნიდან, ჯამში -529 (მთლიანი კლების 71.2%).

ქვეყანა	კლება	(%)წილი მთლიან კლებაში
კომორის კუნძულები	-157	21.1%
უზბეკეთი	-154	20.7%
ბულგარეთი	-111	14.9%
არაბთა გაერთიანებული საემიროები	-107	14.4%
სხვა	-214	28.8%

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდის ანალიზი

2017 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდა 132 ქვეყნიდან ფიქსირდება, რაც რაოდენობრივად 232,811-ს შეადგენს. აქედან ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 8 ქვეყნიდან, ჯამში 198,803 (მთლიანი ზრდის 85.4%).

ქვეყანა	ზრდა	(%) წილი მთლიან ზრდაში
რუსეთი	49,897	21.4%
თურქეთი	41,755	17.9%
აზერბაიჯანი	34,434	14.8%
სომხეთი	26,070	11.2%
ირანი	25,373	10.9%
საუდის არაბეთი	13,769	5.9%
ისრაელი	4,089	1.8%
იორდანია	3,416	1.5%
სხვა	34,008	14.6%


2017 წლის რვა თვის ჯამური მონაცემებითა და აგვისტოს მდგომარეობით განხორციელებული მარკეტინგული კამპანიების შედეგად აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, ირანიდან და ისრაელიდან საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა სტაბილურიად იზრდება. იმ ქვეყნებიდან, სადაც ნაკლებია პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების ზრდის ტენდენცია კვლავაც გრძელდება.

ქვეყნის პროფილი

სომხეთი

2017 წლის აგვისტოში სომხეთი პირველ ადგილზეა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მთლიანმა რიცხვმა 249,720 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.7%-ს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია სომეხი მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის აგვისტოს თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (აგვისტო)



2017 წლის იანვარ-აგვისტოში სომეხი მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 274,488 (+15.9%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 445,919 (+9.2%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 380,400 (+27.5%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

სომხეთი	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	236,835	274,488	37,653	15.9%	24.9%
ტრანზიტი	408,292	445,919	37,627	9.2%	40.5%
ერთდღიანი ვიზიტი	298,249	380,400	82,151	27.5%	34.6%
საერთო რაოდენობა	943,376	1,100,807	157,431	16.7%	100.0%

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით (2013-2016 წწ.)

სომხეთი	2013	2014	2015	2016	ცვლილება % (2016/2015 წწ)	წილი (2016 წ.)
24 საათი და მეტი	327,883	348,489	322,704	331,142	2.6%	22.13%
ტრანზიტი	572,330	480,870	654,708	603,717	-7.8%	40.34%
ერთდღიანი ვიზიტი	391,625	496,275	491,476	561,578	14.3%	37.53%
საერთო რაოდენობა	1,291,838	1,325,634	1,468,888	1,496,437	1.9%	100.0%

სომეხი მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში შემოსასვლელად სახმელეთო საზღვარს იყენებს 235,435 (+11.7%). დანარჩენ საზღვრის ტიპებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება: სარკინიგზო 9,919 (+5.7%), საჰაერო 4,350 (+26.1%) და საზღვაო 16 (-74.6%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	210,751	235,435	24,684	11.7%	94.3%
სარკინიგზო	9,385	9,919	534	5.7%	4.0%
საჰაერო	3,451	4,350	899	26.1%	1.7%
საზღვაო	63	16	-47	-74.6%	0.0%

სომეხი მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სადახლოს საშუალებით ეწვია საქართველოს 153,015 (+11.3%), შემდეგ მოდის ყაზბეგი 46,146 (+6.8%) და ნინოწმინდა 27,343 (+13.9%). სხვა საზღვრებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სადახლო	137,538	153,015	15,477	11.3%	61.3%
ყაზბეგი	43,192	46,146	2,954	6.8%	18.5%
ნინოწმინდა	24,001	27,343	3,342	13.9%	10.9%
რკინიგზა სადახლო	9,385	9,919	534	5.7%	4.0%
გუგუთი	2,994	4,506	1,512	50.5%	1.8%
აეროპორტი თბილისი	3,309	3,928	619	18.7%	1.6%
სარფი	2,435	3,103	668	27.4%	1.2%
კარწახი	508	1,259	751	147.8%	0.5%
აეროპორტი ქუთაისი	84	273	189	225.0%	0.1%
აეროპორტი ბათუმი	58	149	91	156.9%	0.1%
ახკერპი	53	34	-19	-35.8%	0.0%
ვალე	30	29	-1	-3.3%	0.0%
პორტი ბათუმი	54	14	-40	-74.1%	0.0%
პორტი ფოთი	9	2	-7	-77.8%	0.0%

რუსეთი

2017 წლის აგვისტოში რუსეთი მეორე ადგილზეა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მთლიანმა რიცხვმა 229,261 შეადგინა, ზრდა წინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 27.8%-ს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია რუსი მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის აგვისტოს თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (აგვისტო)



2017 წლის იანვარ-აგვისტოში რუსი მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 620,312 (+36%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 239,033 (+35.9%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 95,869 (+17.2%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

რუსეთი	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	456,026	620,312	164,286	36.0%	65%
ტრანზიტი	175,898	239,033	63,135	35.9%	25%
ერთდღიანი ვიზიტი	81,796	95,869	14,073	17.2%	10%
საერთო რაოდენობა	713,720	955,214	241,494	33.8%	100.0%

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით (2013-2015წწ.)

რუსეთი	2013	2014	2015	2016	ცვლილება % (2016/2015 წწ)	წილი (2016წ.)
24 საათი და მეტი	445,958	503,331	535,553	662,132	23.6%	63.7%
ტრანზიტი	228,709	195,784	277,164	255,732	-7.7%	24.6%
ერთდღიანი ვიზიტი	92,729	112,506	113,427	120,886	6.6%	11.6%
საერთო რაოდენობა	767,396	811,621	926,144	1,038,750	12.2%	100.0%

მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში შემოსასვლელად სახმელეთო საზღვარს იყენებს 185,026 (+26.5%). დანარჩენ საზღვრის ტიპებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა მოდის: საჰაერო 42,109 (+38.6%), სარკინიგზო 1,434 (+13.6%) და საზღვაო 692.

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	146,296	185,026	38,730	26.5%	80.7%
საჰაერო	30,374	42,109	11,735	38.6%	18.4%
სარკინიგზო	1,262	1,434	172	13.6%	0.6%
საზღვაო	1,432	692	-740	-51.7%	0.3%

რუსი მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა ყაზბეგის საშუალებით ეწვია საქართველოს 106,407 (+20.7%), შემდეგ მოდის სადახლო 37,695 (+28.1%) და თბილისის აეროპორტი 26,506 (+23.8%). სხვა საზღვრებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
ყაზბეგი	88,134	106,407	18,273	20.7%	46.4%
სადახლო	29,421	37,695	8,274	28.1%	16.4%
აეროპორტი თბილისი	21,402	26,506	5,104	23.8%	11.6%
წითელი ხიდი	10,596	14,672	4,076	38.5%	6.4%
აეროპორტი ბათუმი	8,074	13,381	5,307	65.7%	5.8%
სარფი	6,645	10,468	3,823	57.5%	4.6%
ცოდნა	4,636	6,017	1,381	29.8%	2.6%
ნინოწმინდა	4,300	5,220	920	21.4%	2.3%
გუგუთი	963	2,563	1,600	166.1%	1.1%
აეროპორტი ქუთაისი	898	2,222	1,324	147.4%	1.0%
ვახტანგისი	1,157	1,176	19	1.6%	0.5%
რკინიგზა სადახლო	960	1,064	104	10.8%	0.5%
ვალე	379	655	276	72.8%	0.3%
პორტი ბათუმი	900	456	-444	-49.3%	0.2%
რკინიგზა გარდაბანი	302	370	68	22.5%	0.2%
კარწახი	65	152	87	133.8%	0.1%
პორტი ყულევი	29	123	94	324.1%	0.1%
პორტი ფოთი	503	113	-390	-77.5%	0.0%
სამთაწყარო	0	1	1		0.0%

აზერბაიჯანი

2017 წლის აგვისტოში აზერბაიჯანი მესამე ადგილზეა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მთლიანმა რიცხვმა 220,314 შეადგინა, ზრდა წინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 18.5%-ს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია აზერბაიჯანელი მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის აგვისტოს თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (აგვისტო)



2017 წლის იანვარ-აგვისტოში აზერბაიჯანელი მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 317,988 (+12%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 347,611 (+45.6%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 482,810 (-6.7%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

აზერბაიჯანი	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	283,868	317,988	34,120	12.0%	28%
ტრანზიტი	238,729	347,611	108,882	45.6%	30%
ერთდღიანი ვიზიტი	517,383	482,810	-34,573	-6.7%	42%
საერთო რაოდენობა	1,039,980	1,148,409	108,429	10.4%	100%

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით (2013-2016 წწ.)

აზერბაიჯანი	2013	2014	2015	2016	ცვლილება % (2016/2015 წწ)	წილი (2016 წ.)
24 საათი და მეტი	350,352	424,116	428,870	396,480	-7.6%	26.02%
ტრანზიტი	242,564	305,082	348,616	365,960	5.0%	24.02%
ერთდღიანი ვიზიტი	482,941	554,015	615,771	761,263	23.6%	49.96%
საერთო რაოდენობა	1,075,857	1,283,213	1,393,257	1,523,703	9.4%	100.0%

აზერბაიჯანელი მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში შემოსასვლელად სახმელეთო საზღვარს იყენებს 212,549 (+18.9%). დანარჩენ საზღვრის ტიპებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება: საჰაერო 4,086 (+4.1%), სარკინიგზო 3,592 (+19.5%) და საზღვაო 87 (-47.9%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	178,782	212,549	33,767	18.9%	96.5%
საჰაერო	3,926	4,086	160	4.1%	1.9%
სარკინიგზო	3,005	3,592	587	19.5%	1.6%
საზღვაო	167	87	-80	-47.9%	0.0%

აზერბაიჯანელი მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა წითელი ხიდის საშუალებით ეწვია საქართველოს 124,706 (+14.5%), შემდეგ მოდის სარფი 35,380 (+49.1%) და ცოდნა 21,563 (+1.7%). სხვა საზღვრებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
წითელი ხიდი	108,914	124,706	15,792	14.5%	56.6%
სარფი	23,722	35,380	11,658	49.1%	16.1%
ცოდნა	21,198	21,563	365	1.7%	9.8%
ყაზბეგი	13,197	17,746	4,549	34.5%	8.1%
ვახტანგისი	9,902	10,522	620	6.3%	4.8%
აეროპორტი თბილისი	3,802	3,791	-11	-0.3%	1.7%
რკინიგზა გარდაბანი	3,005	3,592	587	19.5%	1.6%
ვალე	1,365	1,933	568	41.6%	0.9%
კარწახი	443	652	209	47.2%	0.3%
აეროპორტი ქუთაისი	80	209	129	161.3%	0.1%
აეროპორტი ბათუმი	44	86	42	95.5%	0.0%
პორტი ფოთი	107	52	-55	-51.4%	0.0%
სამთაწყარო	30	39	9	30.0%	0.0%
პორტი ბათუმი	60	35	-25	-41.7%	0.0%
სადახლო	10	8	-2	-20.0%	0.0%
ნინოწმინდა	1	0	-1	-100.0%	0.0%

თურქეთი

2017 წლის აგვისტოში თურქეთი მეოთხე ადგილზეა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მთლიანმა რიცხვმა 140,676 შეადგინა, ზრდა წინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 42.2%-ს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია თურქი მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის აგვისტოს თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (აგვისტო)



2017 წლის იანვარ-აგვისტოში თურქი მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 245,294 (-5.7%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 50,892 (+29.7%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 516,764 (-9.5%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

თურქეთი	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	260,225	245,294	-14,931	-5.7%	30%
ტრანზიტი	39,248	50,892	11,644	29.7%	6%
ერთდღიანი ვიზიტი	571,292	516,764	-54,528	-9.5%	64%
საერთო რაოდენობა	870,765	812,950	-57,815	-6.6%	100%

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით (2013-2016 წწ.)

თურქეთი	2013	2014	2015	2016	ცვლილება % (2016/2015 წწ)	წილი (2016 წ.)
24 საათი და მეტი	377,665	395,200	373,296	390,603	4.6%	31.1%
ტრანზიტი	102,527	93,380	76,457	59,196	-22.6%	4.7%
ერთდღიანი ვიზიტი	1,116,946	954,114	941,968	806,762	-14.4%	64.2%
საერთო რაოდენობა	1,597,138	1,442,694	1,391,721	1,256,561	-9.7%	100.0%

მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში შემოსასვლელად სახმელეთო საზღვარს იყენებს 136,689 (+44.3%). დანარჩენ საზღვრის ტიპებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება: საჰაერო 3,296 (+5.1%), საზღვაო 637 (-40.3%) და სარკინიგზო 54 (+260%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	94,704	136,689	41,985	44.3%	97.2%
საჰაერო	3,135	3,296	161	5.1%	2.3%
საზღვაო	1,067	637	-430	-40.3%	0.5%
სარკინიგზო	15	54	39	260.0%	0.0%

თურქი მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სარფის საშუალებით ეწვია საქართველოს 106,927 (+40.3%), შემდეგ მოდის ვალე 16,340 (+96.3%) და კარწახი 5,419 (+53.4%). სხვა საზღვრებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სარფი	76,210	106,927	30,717	40.3%	76.0%
ვალე	8,322	16,340	8,018	96.3%	11.6%
კარწახი	3,532	5,419	1,887	53.4%	3.9%
წითელი ხიდი	4,532	5,358	826	18.2%	3.8%
აეროპორტი თბილისი	2,289	2,570	281	12.3%	1.8%
ცოდნა	1,141	1,396	255	22.3%	1.0%
აეროპორტი ბათუმი	829	702	-127	-15.3%	0.5%
ნინოწმინდა	323	506	183	56.7%	0.4%
ყაზბეგი	160	441	281	175.6%	0.3%
პორტი ფოთი	576	437	-139	-24.1%	0.3%
სადახლო	466	237	-229	-49.1%	0.2%
პორტი ბათუმი	390	182	-208	-53.3%	0.1%
ვახტანგისი	18	55	37	205.6%	0.0%
რკინიგზა გარდაბანი	13	50	37	284.6%	0.0%
აეროპორტი ქუთაისი	17	24	7	41.2%	0.0%
პორტი ყულევი	101	18	-83	-82.2%	0.0%
გუგუთი	0	10	10		0.0%
რკინიგზა სადახლო	2	4	2	100.0%	0.0%

ევროკავშირის ქვეყნები

2017 წლის აგვისტოში ევროკავშირის ქვეყნებიდან 47,483 საერთაშორისო მოგზაური დაფიქსირდა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 29.8%-ს შეადგენს. ევროკავშირის წილი მთლიან შემოსვლებში 4.4%-ია. გრაფიკზე მოცემულია ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის აგვისტოს თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (აგვისტო)



2017 წლის იანვარ-აგვისტოში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 200,649 (+25%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 7,594 (+18%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 13,123 (+22%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

ევროკავშირის ქვეყნები	2016: 8 თვე	2017: 8 თვე	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	161,014	200,649	39,635	25%	91%
ტრანზიტი	6,429	7,594	1,165	18%	3%
ერთდღიანი ვიზიტი	10,772	13,123	2,351	22%	6%
საერთო რაოდენობა	178,215	221,366	43,151	24%	100%

ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების უმრავლესობა საჰაერო გზით შემოდის. საჰაერო საზღვარზე ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების 69% მოდის. ყველაზე მცირე რაოდენობა კი სარკინიგზო (1.5%) და საზღვაო ტრანსპორტით შემოდის (1%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

საზღვარი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
საჰაერო	24,772	32,768	7,996	32.3%	69%
სახმელეთო	10,322	13,539	3,217	31.2%	28.5%
სარკინიგზო	463	720	257	55.5%	1.5%
საზღვაო	1,020	456	-564	-55.3%	1.0%

ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში თბილისის აეროპორტით შემოვიდა (45.9%), შემდეგ მოდის ქუთაისის აეროპორტი (19%), სარფის (10%) და სადახლოს (9.9%) სასაზღვრო პუნქტი.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვრის ტიპი	2016: აგვისტო	2017: აგვისტო	ცვლილება	ცვლილება %	წილი
აეროპორტი თბილისი	17,340	21,787	4,447	25.6%	45.9%
აეროპორტი ქუთაისი	5,871	9,015	3,144	53.6%	19.0%
სარფი	3,935	4,733	798	20.3%	10.0%
სადახლო	3,561	4,713	1,152	32.4%	9.9%
აეროპორტი ბათუმი	1,561	1,966	405	25.9%	4.1%
ნინოწმინდა	1,142	1,544	402	35.2%	3.3%
ყაზბეგი	517	698	181	35.0%	1.5%
ცოდნა	362	564	202	55.8%	1.2%
წითელი ხიდი	223	479	256	114.8%	1.0%
რკინიგზა სადახლო	303	373	70	23.1%	0.8%
ვალე	347	372	25	7.2%	0.8%
რკინიგზა გარდაბანი	160	347	187	116.9%	0.7%
პორტი ფოთი	464	325	-139	-30.0%	0.7%
კარწახი	91	232	141	154.9%	0.5%
გუგუთი	110	134	24	21.8%	0.3%
პორტი ბათუმი	530	98	-432	-81.5%	0.2%
ვახტანგისი	34	70	36	105.9%	0.1%
პორტი ყულევი	26	33	7	26.9%	0.1%

განთავსების საშუალებების სტატისტიკა

2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 1,944 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 65,634. საწოლი ადგილების რაოდენობის მიხედვით ბაზარზე სასტუმროს ტიპის განთავსების საშუალებები ჭარბობენ, მათი წილი 63%-ს შეადგენს.

განთავსების საშუალებების ტიპების განაწილება საწოლი ადგილების მიხედვით



თბილისი ლიდერია საწოლი ადგილების რაოდენობით, მისი წილი 27.1%-ია.

განთავსების საშუალებების განაწილება რეგიონების მიხედვით

